

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (საქართველო) დატბორვის რისკების შეფასება კლიმატის ცვლილების ფონზე

გიორგი ბრეგვაძე, დავით კერესელიძე, კახაბერ ბილაშვილი, ვაჟა ტრაპაიძე

ელ.ფოსტა: giorgi.bregvadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

კლიმატური ცვლილებების საერთაშორისო პანელის (IPPC, 2007) შეფასების მე-4 მოხსენების პროგნოზის შესაბამისად, ატმოსფეროსა და ოკეანის საშუალო ტემპერატურული ველის ცვლილებები, ყინულის და თოვლსაფარის ინტენსიური დნობა, ზღვის საშუალო დონის აწევა ობიექტურად ადასტურებს გლობალური დათბობის ციკლის არსებობას. საქართველოს შავი ზღვისპირა არეალში გლობალური დათბობას და კლიმატის ცვლილების პროცესს რამოდენიმე, მის მიერ პროვოცირებული მოვლენა ახლავს თან, ესენია: შტორმების ინტენსივობა და სიხშირის ზრდა, ზვირთცემის ზოლის გადაწევა ხმელეთის სიღრმეში, მდინარეთა შესართავებში დატბორვის ფართობების გადიდება, გახშირებული კატასტროფული წყალდიდობები და წყალმოვარდნები. ამ მოვლენებზე საქართველოში არსებული დაკვირვების მონაცემების (სტატისტიკის) და ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე უზანი მდინარეების სუფსასა და ნატანებს შორის მონაკვეთია.

აღნიშნული მონაკვეთი რთული მოხაზულობისა და რელიეფის გამო, დანაწევრებულია მრავალი შენაკადით, რომელთაც ახასიათებთ უხვი ნატანი და ინტენსიური სედიმენტაციური პროცესები. აქ აკუმულაციური პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს, დიდია კატასტროფული წყალმოვარდნების სიხშირე, რომელსაც თავის მხრივ თან სდევს შესართავებში დატბორვის ფართობების მკვეთრი ზრდა. ამავდროულად დატბორვების ფართობების ზრდას ხელს უწყობს შტორმული მოვლენებისა და სიმძლავრის ზრდა, აქედან გამომდინარე სანაპირო ზონის მდინარეთა შესართავებში ხმელეთის დატბორვების რისკი მკვეთრად იზრდება. ეს იწვევს სანაპირო ზოლის წარეცხვა-დატბორვას და საფრთხეს უქმნის აქ არსებული და დაგეგმილი მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ობიექტების ფუნქციონირებას და აგრეთვე მოქმედ ინფრასტრუქტურას.

დატბორვის ამოცანის შესწავლა და გადაწყვეტა განხორციელდა სხვადასხვა უზრუნველყოფისათვის, რამაც მდინარე ნატანების შესართავის დატბორვის რეალურთან მიახლოებული სცენარების ჩამოყალიბების საშუალება მოგვცა.